



ASSOCIATION OF YOUNG  
ECONOMISTS OF GEORGIA



საქართველოს სოფლის მეურნეობის  
სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების  
საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების  
სერვისების შეფასების კვლევის ანგარიში

*This publication has been produced with the assistance of the ENPARD. The contents of this publication are the sole responsibility of “Enhancing Small Farmers’ Cooperation and Productivity in Imereti and Racha Regions” project implement partners and can in no way be taken to reflect the views of the European Union.*

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ENPARD - ის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ პროექტის “მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში“-ს განმახორციელებელი პარტნიორები. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ENPARD - ის პოზიციას.



პროექტი  
დაფინანსებულია  
ENPARD - ის მიერ



პროექტის  
განმახორციელებელი



პროექტის პარტნიორი

## შინაარსი

კვლევის მეთოდოლოგია .....	1
საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურების დებულების მიმოხილვა.....	4
საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურების მიერ მიწოდებული სერვისების შეფასება .....	6
კონსულტაციები.....	7
თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია.....	9
ტრენინგები და სწავლება .....	12
ინფორმაციის შეგროვება, თანამშრომლობა და სხვა .....	14
ფერმერთა მოთხოვნა საკონსულტაციო და სასწავლო სერვისებზე.....	17
კონსულტაციები.....	17
ტრენინგები .....	19
გამოცდილების გაზიარებაზე დაფუძნებული სწავლება.....	20
სამსახურის მდგრადობა და განვითარების შესაძლებლობები.....	21
მდგრადობა.....	21
განვითარების შესაძლებლობები და რეკომენდაციები.....	22
დანართი .....	28

## კვლევის მეთოდოლოგია

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების სერვისების ფერმერთა საჭიროებებისა და მოთხოვნის კუთხით შეფასების კვლევა განხორციელდა პროექტის "მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში" ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD) -ის ფინანსური მხარდაჭერით.

ევროკავშირის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD) პოლიტიკური ინიციატივაა, რომელიც აღიარებს სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას სურსათის უსაფრთხოების, მდგრადი წარმოებისა და სოფლად დასაქმების თვალსაზრისით.

პროგრამის ხანგრძლივობა ხუთი წელია (2012 წლის იანვარი - 2016 წლის იანვარი) და იგი მიმართულია: სოფლად მცხოვრები ფერმერებისათვის საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრების ჩამოყალიბებაზე, ხელისუფლებისთვის დახმარების გაწევაზე ისეთი კანონების მიღებაში, რომლებიც ხელს შეუწყობს კოოპერაციას ფერმერებს შორის და სოფლის განვითარების მიზნით გრანტების გაცემაზე ფერმერებისთვის მასშტაბზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებაში დახმარების გასაწევად.

ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში 15 მილიონი ევრო გაცემულია გრანტების სახით, რომელიც გადანაწილებულია 4 კონსორციუმზე. მათ შორის ერთ-ერთია PIN – ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ - ის კონსორციუმი, რომლის წევრებიც არიან ორგანიზაცია "ადამიანი გაჭირვებაში" (PIN), ბიოფერმერული ასოციაცია "ელკანა" და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. ოთხივე კონსორციუმს გააჩნია საკუთარი სამოქმედო არეალი რომელიც გადანაწილებულია რეგიონების მიხედვით. აღნიშნული კოალიციის სამოქმედო არეალი მოიცავს შემდეგ მუნიციპალიტეტებს: **ონი, ამბროლაური, ხარაგაული, ტყიბული, ზესტაფონი, ბაღდათი, თერჯოლა, წყალტუბო და ხონი**. პროექტი მიზნად ისახავს შემდეგი შედეგების მიღწევას:

- ✓ უფრო ეფექტური ბიზნესპრაქტიკის გამოყენებით გაზრდილი ფერმერების შემოსავალი წარმატებული ბიზნესზე ორიენტირებული მცირე ფერმერებისა და მეწარმეთა ჯგუფების განვითარებით;
- ✓ გაზრდილი სამეურნეო შემოსავალი და გაყიდვების მოცულობა, თანამედროვე და გაუმჯობესებული მეურნეობის, წარმოების, გადამამუშავებისა და მარკეტინგის მიდგომების გამოყენებით;
- ✓ პოლიტიკის შემუშავების პროცესში ფერმერთა და სოფლის მოსახლეობის უშუალო მონაწილეობის შედეგად გაუმჯობესებული აგრობიზნესის გარემო და სოფლის მეურნეობის სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა.

**წინამდებარე კვლევის მიზნად განისაზღვრა შემდეგი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მიერ დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების შესრულების თვისებრივი შეფასება, ფერმერთა მხრიდან აგრო-საკონსულტაციო მომსახურების მოთხოვნის ტენდენციების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევამ მოიცვა ”მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში” პროექტის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ფერმერები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, აგრონომები და უშუალოდ ადგილობრივი საკონსულტაციო სამსახურების წარმომადგენლები.

ამასთან, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ის გარემოებას, რომ კვლევა ფოკუსირებულია უშუალოდ ფერმერების მიერ დასმული საკითხებისა და მათი საჭიროებების იდენტიფიკაციაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო სამსახურები საქართველოს ყველა რეგიონში ფუნქციონირებენ, კვლევის არეალი განისაზღვრა იმ ცხრა მიზნობრივი მუნიციპალიტეტით, რომელსაც მოიცავს პროექტი ”მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში”. თუმცა მიღებული შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები იძლევა შესაძლებლობას განვაზოგადოთ ისინი და მივიჩნიოთ რელევანტურად სამსახურების და მათ სერვისებზე მოთხოვნის თვისებრივი შეფასებისათვის.

**კვლევის ამოცანები და ინსტრუმენტები**

<p><b>ამოცანა 1.</b> დადგენილი ფუნქციების შერულების, გამოწვევების და საჭიროებების შეფასება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დებულების სკრინინგი;</li> <li>• ჩაღრმავებული ინტერვიუები სამსახურების წარმომადგენლებთან;</li> <li>• ჩაღრმავებული ინტერვიუები ბენეფიციარებთან;</li> <li>• ფოკუს-ჯგუფები ფერმერებთან</li> </ul>
<p><b>ამოცანა 2.</b> ფერმერების საკონსულტაციო და საინფორმაციო სერვისებზე მოთხოვნის ტენდენციების დადგენა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩაღრმავებული ინტერვიუები სამსახურების წარმომადგენლებთან;</li> <li>• ფოკუს-ჯგუფები ფერმერებთან;</li> <li>• ჩაღრმავებული ინტერვიუები ბენეფიციარებთან, ექსპერტებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან;</li> </ul>
<p><b>ამოცანა 3.</b> გაუმჯობესების (ადმინისტრაციული და ფუნქციონალური) რეკომენდაციების შემუშავება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩაღრმავებული ინტერვიუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან;</li> <li>• ჩაღრმავებული ინტერვიუები სამსახურების წარმომადგენლებთან</li> <li>• ჩაღრმავებული ინტერვიუები ბენეფიციარებთან და ექსპერტებთან;</li> </ul>

კვლევის ინსტრუმენტად განისაზღვრა 2 მიმართულება:

**(1) ფოკუს-ჯგუფები ფერმერების მონაწილეობით**

სულ ჩატარდა 9 ფოკუს-ჯგუფი, 1 ჯგუფი თითოეულ მიზნობრივ მუნიციპალიტეტში; მონაწილეთა რაოდენობა - 10-12 ფერმერი. ფერმერთა შერჩევისას უზრუნველყოფილ იქნა დარგობრივი და გეოგრაფიული დიფერენცია. ამასთან, ყველა მონაწილე იყო სამსახურის ერთი ან რამდენიმე სერვისის არსებული მოსარგებლე. ამასთან, ჯგუფების მონაწილეთა რეკრუტირებისას გათვალისწინებული იყო შემდეგი ქვეკრიტერიუმები: მინიმუმ 3 მაქსიმუმ 5 ფერმერი იყო რომელიც არის შესაბამისი რეგიონალური სამსახურის აქტიური ბენეფიციარი.

ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა განსაზღვრული სახელმძღვანელოს შესაბამისად (დანართი 1), მომზადდა აუდიოჩანაწერი და შესაბამისი ტრანსკრიპტი. ამასთან, მონაწილეებმა შეავსეს 1 გვერდიანი გამოკითხვის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მოთხოვნადი სერვისების ჩამონათვალის ფორმირებას.

**(2) ჩაღრმავებული ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან**

კატეგორია	რაოდენობა	ამოცანა N
რეგიონალური სამსახური	2	1, 2,3
მუნიციპალური სამსახური	9	1,3
ს/მ სამინისტრო	1	3
სამსახურის აქტიური ბენეფიციარი ფერმერი	9	1,2,3
დარგის ექსპერტი	1	2,3
აგრარული კოოპერატივი	2	1,2
თვითმმართველობის წარმომადგენლები	3	2,3

ჩაღრმავებული ინტერვიუსთვის მომზადდა ჩარჩო სახელმძღვანელო (დანართი 2), რომელიც ადაპტირდა რესპოდენტის კომპეტენციისა და პროფილის გათვალისწინებით.

## საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურების დებულების

### მიმოხილვა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით №2-63 განისაზღვრა ის ძირითადი ფუნქციები და უფლება მოვალეობები, რომლებიც უნდა შესრულდეს აღნიშნული სამსახურების მიერ.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დებულების „მუხლი 2. სამსახურის უფლებამოსილებანი“ დაჯგუფდა ძირითად ფუნქციებად.

#### ინფორმაციის შეგროვება - ანალიზი

- არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შესახებ წლის განმავლობაში ნათესი და ნარგავი ფართობების სრული განახლებადი საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- კულტურების მიხედვით სავარაუდო მოსავლის წინასწარი განსაზღვრა, ოპერატიული ინფორმაციის მიღება-დამუშავება;
- სამინისტროს მიერ განსახორციელებული მიზნობრივი პროექტების შერჩევაში აქტიური მონაწილეობა, კონსულტაციის გაცემა და მონიტორინგი;
- ადგილობრივ ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფასების, ასევე წარმოების საშუალებების ღირებულების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება-ანალიზი;
- სასაწყობო და გადამამუშავებელი საწარმოების არსებული პოტენციალის შესწავლა მემცენარეობისა და მეცხოველეობის პირველადი წარმოების პროდუქტების მიხედვით;
- სოფლის მეურნეობის სფეროში გამოვლენილი პრობლემებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ სამინისტროს დროული ინფორმირება;

#### კონსულტაციის გაცემა, ინფორმირება

- სამინისტროს მიერ განსახორციელებული მიზნობრივი პროექტების შერჩევაში აქტიური მონაწილეობა, კონსულტაციის გაცემა და მონიტორინგი;
- სოფლის მეურნეობაში მოქმედი სამართლებრივი და საგადასახადო ვალდებულებების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება; სამინისტროს პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირება;
- მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის ეკონომიკური შეფასება (გამოყენებული წარმოების საშუალებებზე

გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით) და დაინტერესებული პირებისათვის რეკომენდაციების გაცემა;

- ბაზარზე არსებული სათესლე და სარგავი მასალების შესახებ ინფორმაციის შეგროვება-დამუშავება, მათი სპეციფიკაციის მიხედვით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა;
- მუნიციპალიტეტში მექანიზაციის ხელმისაწვდომობაზე, ასევე, მათი რაციონალური გამოყენების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება;
- ბაზარზე არსებული მცენარეთა დაცვის საშუალებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დაინტერესებული პირებისათვის მათი გამოყენების მართებული მეთოდების შეთავაზება;
- მოსავლის აღებასთან დაკავშირებული მოსამზადებელი ტექნიკური ღონისძიებების და სხვა ორგანიზაციული საკითხების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა;
- აღებული მოსავლის შენახვის პირობების და ვადების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის რეკომენდაციების გაწევა;
- სამოვრების რაციონალური გამოყენების მიზნით დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციის გაწევა;
- ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით წლის განმავლობაში აუცილებელი ვეტერინარული და სანიტარიული ღონისძიებების შესახებ დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა;
- მერძეული და მეხორცული მიმართულების მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის პროდუქტიულობის მაჩვენებლის ზრდის და სტაბილურად შენარჩუნების მიზნით საკვები რაციონის შესახებ რეკომენდაციების გაცემა;

### ტრენინგები და სწავლება

- სხვადასხვა ტრენინგების, სწავლებებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;

### პოპულარიზაცია

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება-მოვლის თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა;
- ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია მათი დანერგვის მიზნით;

### თანამშრომლობა მხარეებთან და სხვა

- სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ასევე ექსტენციის ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა;



- კანონმდებლობით დადგენილი წესით მუნიციპალიტეტებში სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის კომისიებში და სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა, სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და სფეროებში შექმნილ საგანგებო სიტუაციათა ანალიზი და შეფასება;
- კომპეტენციის ფარგლებში სტატისტიკის სფეროში მონაცემთა საინფორმაციო ბაზის შექმნაში მონაწილეობა და კოორდინირებული საქმიანობა;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობათა განხორციელება.

## საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურების მიერ მიწოდებული სერვისების შეფასება

უდავოა, რომ საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურების ადგილობრივ დონეებზე ჩამოყალიბებამ ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და მომავალშიც შეასრულებს ქვეყანაში აგრარული სექტორის განვითარების თვალსაზრისით. აღნიშნული დასტურდება, როგორც ობიექტური შედეგებით, ასევე უშუალოდ ბენეფიციარი ფერმერების, ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების და აგრარული სფეროს ექსპერტების მიერ.

ტერიტორიული სამსახურები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ აგრარული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების კუთხითაც.

ფერმერების მოსაზრებით, საკონსულტაციო სამსახურების უფლება-მოვალეობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი არის კონსულტაციებისა და ინფორმაციის მიღება. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ჩანს, რომ ერთის მხრივ ფერმერები უმეტეს შემთხვევებში იღებენ მათთვის სასურველ ინფორმაციას და მეორეს მხრივ, სამსახურები ასევე კარგად ართმევენ თავს ისეთ ამოცანას, როგორცაა ინოვაციებისა და სიახლეების დანერგვას და ადგილობრივ ფერმერებს აწვდიან ინფორმაციას და არწმუნებენ ექსტენსიური მეთოდების გამოყენების შესახებ.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერმერები აცხადებენ:

- „ამ სამსახურთან მაქვს ხშირი შეხება, გავიხსენებ მაგალითად ჩაის თემასთან დაკავშირებით კონსულტაციებს, ასევე საზამთროს და კარტოფილის თემასთან დაკავშირებით. ყოველთვის როდესაც რაიმე მინდა გავაკეთო სოფლის მეურნეობაში, ვუკავშირდები ამ სამსახურს და ისინი რჩევას მაძლევენ, თუნდაც თესლთან დაკავშირებით თუ რომელი სჯობს და უკეთესი იქნება რომ ვიხმარო“;
- „ყოფილა მაგალითად კარტოფილის თემასთან დაკავშირებით, ამ სამსახურს შემოუთავაზებია სხვადასხვა სახის ჯიშები და მქონია ამასთან დაკავშირებით დისკუსია და გამივილია ეს თემები. მექანიზაციასთან დაკავშირებითაც, მქონია

შემთხვევები როდესაც ამ სამსახურის მეშვეობით მომიძებნია ესა თუ ის ტექნიკა რაც მჭირდებოდა. რაც შეეხება სემინარებს თუ კურსებს, ყოველთვის საქმის კურსში ვარ და დროიდან გამომდინარე შეძლებისდაგვარად ვესწრები:


- „რამდენი კონსულტაცია გაუწევიათ მართლაც ჩამოთვლა ძნელია, კოოპერატივის შექმნასთან დაკავშირებით პირველი კონსულტაცია აქ გავიარეთ, კოოპერატივში რასაც ვაკეთებთ ეს არის სასათბურე მეურნეობა, ყოველთვის გვაქვს მათთან კომუნიკაცია თუ რით უნდა შევწამლოთ რა უნდა გავაკეთოთ ზოგადად. სიმინდთან დაკავშირებით, მთელ სოფელს შეხვდა საკონსულტაციო სამსახურიდან წარმომადგენლები, კონსულტაციები გაიარა ხალხმა და ძალიან ეფექტური გამოდგა მათ მიერ შემოთავაზებული წამალი.“

### კონსულტაციები

მიზნობრივ რეგიონებში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა დაასახელეს ის მიმართულებები, რომელთა თაობაზეც ყველაზე ხშირად მიმართავენ სამსახურის წარმომადგენლებს კონსულტაციისათვის და ასევე შეაფასეს მათი კმაყოფილების დონე. ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ყველაზე ხშირად მიმართავენ ცენტრს ისეთ საკითხებზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, როგორებიცაა მესაქონლეობა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა მხარდამჭერი პროგრამები, მევენახეობა, კოოპერატივები და ა.შ.

ფერმერების მხრიდან ცალკე განხილვის საგანი გახდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების შესახებ ინფორმაციისა და მათში მონაწილეობის შესახებ კონსულტაციების მიღება. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირითადად კმაყოფილები არიან მიღებული ინფორმაციის როგორც ოპერატიულობით ასევე ხარისხით, მიიჩნევენ, რომ მეტი მხარდაჭერა და დახმარება ჭირდებათ ამ პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა, ყველა მათგანი იმასაც აღნიშნავს, რომ სწორედ საკონსულტაციო სამსახურებია ის რგოლი, რომელიც მათ აძლევთ საშუალებას ერთის მხრივ მიიღონ ინფორმაცია არსებული ინიციატივის შესახებ, მეორეს მხრივ კი პრაქტიკულად დააკვალიანოს თუ როგორ უნდა იმოქმედონ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. პრობლემა კი ჩნდება, როდესაც იწყება დოკუმენტების მომზადება და ბიუროკრატიული პროცესების გავლა. აქ უკვე ფერმერებს არ ყოფნით ცოდნა და კვალიფიკაცია თუ როგორ უნდა მოამზადონ ესა თუ ის დოკუმენტი და გამართულად ჩაერთონ პროცესში.

**დიაგრამა 1.** ყველაზე ხშირად დასახელებული მიმართულებები (კონსულტაციები)



ამასთან საგულისხმოა, რომ ბენეფიციარი ფერმერები, მიუთითებენ, რომ ისინი როგორც წესი კმაყოფილები ან ძალიან კმაყოფილები არიან მიღებული მომსახურებით. ისინი სამსახურიდან იღებენ არა მხოლოდ სიტყვიერ კონსულტაციებს, ხშირად დასახელდა შემთხვევები, როდესაც საჭიროებიდან გამომდინარე მოხდა სპეციალისტების ჩამოყვანა და შესაბამისი რჩევების მიღება.

ზოგადად, შეუძლებელია, ტერიტორიულ სამსახურში ადგილზე იყოს ყველა მიმართულების სპეციალისტები. თუმცა, როდესაც გლეხი კონკრეტული პრობლემის წინაშე დგას, მას უჩნდება მოთხოვნა მიიღოს კონსულტაციები შესაბამისი ექსპერტისაგან. აღნიშნული მიმართულებას სამსახურები ნაწილობრივ მაინც აგვარებენ და კვლევის პროცესში გამოვლინდა სპეციალისტების მოწვევის და ადგილზე მუშაობის არაერთი შემთხვევა. აღნიშნულთან დაკავშირებით რესპოდენტებმა გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება:

- „მაქვს ახალ გაშენებული თხილის ფართობები, ძირითადად ამ სამსახურმა გამიწია კონსულტაცია მეთხილეობასთან დაკავშირებით, კერძოდ ავადმყოფობასთან დაკავშირებით, მათ ჩამოგვიყვანეს სპეციალისტები და დაგვაკვლიანეს ამ მიმართულებით და შედეგიც მივიღეთ“.
- „მივიღე სრული ინფორმაცია რაც მჭირდებოდა, კონსულტაციის გარდა მივიღე ის რომ გამომყვნიენ ზესტაფონში გამაკეთებინეს მიწის ანალიზი, მომცეს რეკომენდაციები და რჩევები. მათი რჩევები გავითვალისწინე და წელს უკვე უკეთესი მოსავალი მივიღე“.

როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, ძირითადი პრობლემა რასაც გლეხები მიიჩნევენ, კონსულტაციების მიღებასთან დაკავშირებით, არის არასაკმარისი სპეციალისტების რაოდენობა ცენტრებში. მათი აზრით, მიმდინარე ეტაპზე მაინც, უნდა მოხდეს პერსონალის დამატება, რათა ცენტრებმა მეტად შეძლონ უშუალო ნაკვეთებში და ფერმერებში მისვლა და ადგილზე კონსულტაციების გაწევა. ისინი მიიჩნევენ, რომ ასეთი ფორმით მიღებული ინფორმაცია და კონკრეტული რჩევები ყველაზე ეფექტიანია. ასევე

აუცილებელია სამსახურში იყვნენ ბიზნეს კონსულტანტები, რომლებიც დაეხმარებათ მათ ბიზნესგეგმის მომზადებასა და ფინანსური გათვლების შემუშავებაში: „სამსახურს რომ დაემატოს კიდევ საშტატო ერთეულები ძალიან კარგი იქნება, არიან კონსულტანტები რომლებიც ადგილზე უწევენ კონსულტაციას თუ რა პერიოდში რა სჭირდება. ესენიც არიან გარკვეული მიმართულებით მაგრამ არ არის საკმარისი და აქედან გამომდინარე კარგი იქნება თუ დაემატება შტატი.“ „აუცილებელია სამსახურების გაფართოება, საკმარისი რაოდენობა არ არის კონსულტანტების და აქედან გამომდინარე ამიტომ ვსაუბრობ საშტატო ერთეულის გაზრდაზე. ადგილზე უნდა ხდებოდეს კონსულტაცია, რადგან გლეხი არ არის ისე გათვითცნობიერებული რომ ის კულტურა აწარმოოს, ასევე არის ახალი ტექნოლოგიები და სჭირდება გლეხს აუცილებლად ეს კონსულტაციები, მერე და მერე ალბათ აითვისებს ის გლეხიც მაგრამ ეხლა აუცილებლად სჭირდება“; „უნდა ჩაერთონ ამ სამსახურში ეკონომისტები და პროგრამისტები, რომლებმაც იციან რაღაცის გაანგარიშება, ჩვენ ხელზე ხომ ვერ ვიანგარიშებთ არა. ათასნაირი საგადასახადო სისტემები არსებობს, რომლის შესახებაც მან არ იცის კანონი და ამას რომ ისწავლის გლეხი, შემდგომ უკვე სხვებსაც ასწავლის და ასე გავრცელდება ინფორმაცია“. - განცხადეს ფერმერებმა.

### თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია

სამსახურების უფლებამოსილებების ჩამონათვალში რთულია პუნქტების რანჟირება პრიორიტეტულობის ან მნიშვნელობის მიხედვით. ცალსახად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა ფუნქციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. თუმცა, ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა მაინც განსაკუთრებულად აქტუალურია გრძელვადიან პერიოდში ხელშესახები შედეგების მიღწევისათვის.

აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ მოკლევადიან პერიოდში შეუძლებელია ქვეყნის მასშტაბით მოხდეს თანამედროვე მეთოდების დანერგვა. ეს მხოლოდ გრძელვადიანი, ეტაპობრივი და თანმიმდევრული მუშაობის შედეგადაა შესაძლებელი. ამასთან, პროცესი არის ორმხრივი მოძრაობის მაგისტრალი, სადაც ერთის მხრივ სახელმწიფო სთავაზობს შესაძლებლობებს და ქმნის გარემოს, ხოლო მეორეს მხრივ ფერმერი არის მზად და მოტივირებული მიიღოს და დანერგოს სიახლეები.

სამსახურების ფუნქციებიდან გამოყოფილია ორი ძირითადი მიმართულება:

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება-მოვლის თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა;
- ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, მათი დანერგვის მიზნით;

მიმდინარე ეტაპზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული ამოცანები ნაწილობრივია შესრულებული და საჭიროებს კიდევ დამატებითი ძალისხმევის გაწევას სხვადასხვა

მხარეების მხრიდან. დამატებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სამსახურის წარმომადგენლებს აქვთ შეზღუდული რესურსები სიახლეების დანერგვის ხელშეწყობისათვის. შესაბამისად, აუცილებელია კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი სახელმწიფო პროგრამების განხორციელება აღნიშნული მიმართულებებით.

რაც შეეხება ფერმერებს, მათი ნაწილი მზადაა დანერგოს თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები, ნაწილი კი უკვე პროცესშია და ასეთები, ხაზგასმით მიუთითებენ სამსახურების განსაკუთრებულ როლზე. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უშუალოდ სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის შედეგად მოხდა კონკრეტული ახალი მიმართულებების ათვისება.

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების მხრიდან არაერთგზის იქნა ნახსენები „ ჩემმა მეზობელმა, ჩემმა ნათესავმა ასე გააკეთა, ახალი ჯიშები დათესა და მეც ვაპირებ მომდევნო წელს“ . შესაბამისად, სამსხურებს კარგად შეუძლიათ პოპულარიზაციის მიმართულებით აღნიშნული დამოკიდებულების გამოყენება, თუ მოახდენენ იმ ფერმერების აქტიურ პოპულარიზაციას, რომლებიც გარკვეულწილად არიან ექსტენციის „პიონერები“ .

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილ სამსახურებს აქვთ აქტიური და უშუალო ურთიერთობა შესაბამისი სოფლის მოსახლეობასთან, რაც ცალსახად დიდი აქტივია არამხოლოდ აღნიშნული მიმართულების წარმატებით განხორციელებისათვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით რესპოდენტებმა გაგვიზიარეს საკუთარი გამოცდილება და ხედვები:


- „ჩვენი მოსახლეობა ჯერ-ჯერობით ვერ ფლობს ახალ ტექნოლოგიებს სათანადო დონეზე, შეიძლება ითქვას, ძველი მეთოდებით მუშაობა აღარ არის რენტაბელური, ამდენად ძალიან ბევრი მუშაობა გვჭირდება რომ დავარწმუნოთ ეს ადამიანები, რომ სხვა ტექნოლოგიებზე გადაერთონ და სხვა კულტურები მოიყვანონ და არამარტო სიმინდი, მაგ. ბოსტნეული და ბაღჩეული...“
- „ჩართულობა ფერმერების ამ პროცესებში არ არის საკმარისად აქტიური, ამას მე ვხსნი სოციალური მდგომარეობით, ფერმერებს არ აქვთ საშუალება რომ თანხები გაიღონ, არის კიდევ ის, რომ აუცილებელია სწავლება, ინფორმირება რომ ფერმერები ჩაერთონ ამ პროცესებში, არის ნაწილი, რომელიც აქტიურად არის ჩართული“
- „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არის ექსპერტების მოწვევა, რომელსაც სისტემატურად ვაკეთებთ, ტურები დაინტერესებული ფერმერებისათვის და ამის საშუალებებიც არის რომ ვაჩვენოთ, და შედეგიც გამოიღო, საგურამოში როცა გვყვავდა და ვაჩვენეთ ვენახი, რამდენიმე ფერმერმა უკვე დაიწყო ამ თანამედროვე ტექნოლოგიით გაშენება, სასათბურე მეურნეობების განვითარება წამოვიდა სწრაფი ტემპით, ბოლო 3 წელში 300–მდე ახალი სათბურია, რკალური გადახურვა, გათბობის სისტემები, ეს პროცესები მიდის ეტაპობრივად“

## ტრენინგები და სწავლება

საგულისხმოა, რომ თუ წლების წინ საჯარო თუ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს უწევდათ ფერმერების დარწმუნება იმაში, რომ მათთვის სასარგებლო და აუცილებელია ახალი ცოდნის მიღება და ინოვაციების დანერგვა, მიმდინარე ეტაპზე ეს გამოწვევა გადალახულია და ახლა უკვე თვითონ ფერმერებს აქვთ მზარდი მოთხოვნა მიიღონ ცოდნა და უარი თქვან მოძველებულ მიდგომებზე. აღნიშნული მიმართულებით კი სამსახურების როლი ნადვილად შეუცვლელია.

მიზნობრივ რეგიონებში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფების მონაწილეებმა დაასახელეს თუ რომელ ტრენინგში მიიღეს მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ მონაწილეების შეფასებით დასახლებული ტრენინგები იყო სასარგებლო ან ძალიან სასარგებლო.

დიაგრამა 2. ყველაზე ხშირად დასახლებული ტრენინგების შეფასება



სწავლების კუთხით, ფერმერები ასევე მნიშვნელოვან ღონისძიებებად მიიჩნევენ გამოფენებში მონაწილეობის მიღებასა და სადემონსტრაციო ნაკვეთებში ვიზიტებს. ამასთან მიუხედავად იმისა, რომ მიწოდებული კურსებით ისინი ძირითადად კმაყოფილები არიან, თვლიან რომ საჭიროა სწავლების მიმართულებით სამსახურების მეტ გააქტიურებას და უფრო მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზებას, მაგალითად კონკრეტული ფერმერების გადამზადება; სასწავლო ვიზიტები სადემონსტრაციო ნაკვეთებსა თუ სხვა უკვე განვითარებულ ფერმერებში და ა.შ. „ამ სამსახურს რაღაცნაირი ლიმიტი უნდა ქონდეს ყოველ წელიწადს რამდენიმე ფერმერი, თუნდაც მებოსტნეობის ან მეჩაეობის დარგში განახორციელონ მათი გადამზადება რომელიმე ქვეყანაში. ეს ფერმერები იმუშავებენ თუნდაც იქ უფასოდ, ოღონდ მათ მიიღონ გამოცდილება, რაც არის გადამწყვეტი და ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენს პირობებში. ამ სამსახურმა იცის ვინ რას საქმიანობს და აქედან გამომდინარე შეეძლოს რამდენიმე ადამიანის გადამზადება. ერთ-ერთ დიდ საქმეს რასაც გააკეთებს ეს სამსახური იქნება ეს და მერე იქედან რომ დაბრუნდება დამერწმუნეთ ერთი ათად გადაიქცევა. ამ სამსახურის

ეფექტიანობაც გაცილებით მეტი იქნება ამ შემთხვევაში“; „მე გახლავართ მეფუტკრე-ფერმერი, ადამიანი დანახულით უფრო მეტს იღებს, ვიდრე გაგონილით, ტრენინგები კი გავიარე, ბევრი საინტერესო გავიგე, მაგრამ კარგი იქნება რომელიც არის მოწინავე დარგები, გავაკეთოთ საცდელი მეურნეობები და მოხდეს ხალხის იქ მიყვანა, ეს მხოლოდ იმ ადამიანებისთვის კი არ იქნება კარგი ვინც იქ მივა, არამედ იმისთვისაც ვისთანაც მივლენ.“

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი სამსახურები საკმაოდ დიდი ყურადღებას უთმობენ ფერმერთა სწავლების და ცოდნის დონის ამაღლების საკითხს, თუმცა, მათივე ინფორმაციით სხვა ფუნქციებთან შედარებით ნაკლებ დროს უთმობენ ტრენინგების ორგანიზების საკითხებს, რაც თავის მხრივ ობიექტური გარემოცაა რამდენადაც ბევრად დიდია მოთხოვნა კონსულტაციებზე და მონაცემთა შეგროვებაც დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. ცენტრის თანამშრომლებიც იზიარებენ ფერმერთა მოსაზრებებს, რომ რიგი ფუნქციების სათანადოდ შესრულებისათვის მათ არ ყოფნით არსებული ადამიანური რესურსები. თუმცა, უშუალოდ ტრენინგების მიმართულებით განსაკუთრებულ როლს ასრულებს სამინისტროს მიერ დაგეგმილი და უზრუნველყოფილი ღონისძიებები. თავის მხრივ ადგილობრივი სამსახურები აწვდიან სამინისტროს ინფორმაციას თუ რა მიმართულებებზეა ყველაზე დიდი მოთხოვნა. ასევე სამსახურები აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო და საერთაშორისო სექტორთან და მათაც უზიარებენ ინფორმაციას მოთხოვნადი მიმართულებების შესახებ. სამსახურის წარმომადგენლების გამოცდილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგნაირია:

- უშუალო შეხვედრების დროს გამოიკვეთება სწავლების თემა. შარშან გვყავდა გერმანელი სპეციალისტი მსხვილფეხა პირუტყვის შესახებ ისაუბრა, ისრაელის წარმომადგენლებთან მოხდა ფერმერების შეხვედრა ბოსტნეულის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. კავშირი გვაქვს სამინისტროს სამეცნიერო ცენტრთან და მათი მონაწილეობით ადგილზე ვუტარებთ ლექციებს ადგილობრივ მაცხოვრებლებს.
- არასამთავრობო ორგანიზაცია პინ-თან ერთად მარტო ამ თვეში ჩავატარეთ 6 შეხვედრები მოსახლეობასთან, რომელიც ითვალისწინებდა ფერმერთა საჭიროებების დადგენას, რაზედაც უკვე მომავალში ჩატარდება ინტენსიური ტრენინგები. შეიქმნება კონკრეტული მიმართულებით დაინტერესებულ პირთა ჯგუფები და დარგების მიხედვით ჩატარდება სწავლებები.
- შეხვედრების დროს არის შეკითხვები ვის რა აინტერესებს და იმის მიხედვით მერე სამინისტრო გეგმავს სხვადასხვა სახის ტრენინგებს, არის ასევე გასვლით ტურები, სხვადასხვა ადგილზე, სადემონსტრაციო ნაკვეთების დათვალიერება და ა.შ.
- გეტყვით ერთ მაგალითს, თბილის კულტურა რაიონში ზრდადი დინამიკით ხასიათდება, ამიტომ ჩვენ სამინისტროს წინაშე დავაყენეთ საკითხი რომ გვესაჭიროება ტრენინგი თბილის კულტურის მოვლა-მოყვანაზე, ამ მოთხოვნაზე სამინისტრომ მოავლინა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები, ჩვენ გავუკეთეთ ორგანიზება დაინტერესებულ ფერმერებს, გვაქვს მოთხოვნილი

და ალბათ მომავალ წელს იქნება აკვა კულტურებთან დაკავშირებით, იმიტომ რომ სპეციალისტები საკმაოდ ცოტაა, რაიონში არი დაახლოებით 603ა-მდე სატბორი აუზები და ამასთან დაკავშირებით რა ჭირდება ფერმერებს, გაისად კიდევ ვგეგმავთ ტრენინგებს და არა მარტო თხილზე, არა ერთდღიანს არამედ რამოდენიმე დღიანი იმიტომ რომ გარკვეული დროის განმავლობაში შეძლოს ფერმერმა უშუალოდ დაკვირვება თავის კულტურაზე და ჩვენ მივცეთ შესაბამისი განმარტებები.

## ინფორმაციის შეგროვება, თანამშრომლობა და სხვა

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების არანაკლები მნიშვნელობის უფლებამოსილებებში შედის ასევე ინფორმაციის შეგროვება სხვადასხვა აგრარული ხასიათის საკითხებზე, მათ შორის: სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მოსავლიანობა, გავრცელებული ჯიშები და კულტურები, მიმდინარე გამოწვევები და ა.შ.

ინფორმაციის შეგროვებასა და მონაცემთა ბაზების ფორმირებაზე, ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპოდენტების (ადგილობრივი სამსახურების წარმომადგენლები) შეფასებით მათი სამუშაოს საშუალოდ 50% მოდის. თუმცა, როდესაც არის ხვნა-თესვის ან/და მოსავლის აღების პერიოდი, სამსახურის წარმომადგენლები ძირითადად მაინც კონსულტაციების გაცემით არიან დაკავებული.

სამსახურების მიერ შეგროვებულ ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა და როლი აქვს შემდგომში სვდასხვა პროგრამებისა თუ პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიმართულებით. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამსახურის წარმომადგენლები აქტიურად თანამშრომლობენ ფერმერებთან.

თუმცა, სამსახურები ასევე მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია მათი როლის გაზრდა აღნიშნული მიმართულებით, რისთვისაც საჭიროა მეტი კოორდინაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა პროგრამების მენეჯმენტთან. მათ მართალია აქვთ შესაბამისი კომუნიკაცია, თუმცა მათი აზრით უკეთესი იქნება, თუ ეს თანამშრომლობა გარკვეულწილად უფრო მეტად ოფიციალურ სახეს მიიღებს. ინფორმაციის შეგროვებასთან დაკავშირებით ჩაღრმავებული ინტერვიუს რესპოდენტებმა შემდეგი პოზიციები დააფიქსირეს:

1. ინფორმაციის შეგროვება, კონსულტაციები, ორივე ძირითადი ფუნქცია არის, ჩვენ ვღებულობთ ინფორმაციას ფერმერებისგან და სამინისტროს ვაწვდით რა მდგომარეობა არის, რა მიმართულებით შეიძლება დახმარება, მაგ. პირველადი გადამუშავების საწარმოსთან დაკავშირებით გვაქვს ადგილი შერჩეული. მექანიზაციის გამოყენებასთან დაკავშირებით ძირითადი ფუნქცია მიმაჩნია რომ შეიძლება დღეს ვერ არის ისეთი კოორდინაცია, როგორც უნდა იყოს მაგრამ აუცილებელია ღრმა კოორდინაცია.
2. მონაცემთა ბაზის შექმნა, ინფორმაციის შეგროვება ყველაზე დიდი დრო მიაქვს ჩვენი თანამშრომლების, თუმცა ვიცით რომ ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია.



ხშირად არ გვყოფნის დრო და რესურსი კონსულტაციაზე მოსულ ყველა გლეხს სათანადო ყურადღება რომ დავუთმოთ. მერე ძალიან ბევრი რეკავს, ზარს რომ არ უპასუხო და არ უთხრა რაც ჭირდება არც ეს შეიძლება.

3. თუ არის სამინისტროდან მოსული დავალება, რომელიც უნდა შევასრულოთ გარკვეულ დროში, მთელი სამსახური გადართულია, რომ დავალება შესრულდეს, თუმცა თუ მოვიდა კონსულტაციაზე ფერმერი გადავდებ სამინისტროს დავალებას და ვუწევ კონსულტაციას, როდესაც ხდება სოფლებში გასვლა იქ ერთდროულად კონსულტაციასაც ვეწევით, ბუკლეტებსაც ვარიგებთ, სამინისტროს პროექტების შესახებ ინფორმირებაც ხდება, ეს ყველაფერი პარალელურ რეჟიმში კეთდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურების მიერ თავმოყრილი ინფორმაცია ნადვილად ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც საჯარო სექტორისათვის ასევე საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის. მიმდინარე ეტაპზე მონაცემებს ძირითადად სამინისტრო იყენებს. სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტებისა და ექსპერტების მუშაობის ეფექტიანობას მნიშვნელოვანდ გაზრდიდა აღნიშნული მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი რომ იყოს, მაგალითად შესაბამისი ვებ-პორტალის საშუალებით. ასეთი ელექტრონული მონაცემთა ბაზა ასევე დაეხმარებოდა სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე სხვადასხვა ბიზნეს-ოპერატორებს.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულებას ექსტენციის დანერგვა წარმოადგენს. ამ კუთხით კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. ამასთან, ასეთი ორგანიზაციები ქმნიან დამატებით საშუალებებს მიეწოდოთ ადგილობრივ ფერმერებს აგრარული სერვისები, იქნება ეს ბიზნესკონსულტაციები თუ ტრენინგები. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მიმდინარე ეტაპზე თანამშრომლობის საკმაოდ კარგი გამოცდილება და პრაქტიკა აქვთ სამსახურებს. ამ მიმართულებით სხვადასხვა მხარეებთან თანამშრომლობის ინიციატორი არის როგორც უშუალოდ ტერიტორიული სამსახური, ასევე სამინისტროც. უფრო მეტიც, მრავალი საერთაშორისო პროექტი სამსახურების წარმომადგენლების უშუალო მხარდაჭერით ხორციელდება. „მინდა ავღნიშნო იუესაიდის და ფაოს მონაწილეობა, ემპარდის მონაწილეობა ამ პროცესებში და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების, უშუალოდ ჩვენ ვართ ჩართული ემპარდთან დაკავშირებით, სამმა კოოპერატივმა გაიმარჯვა კონკურსში, ჩვენ გვქონდა ასევე ვორლდვიჟენტთან აქტიური თანამშრომლობა, წვეთოვან სისტემებთან დაკავშირებით, უესაიდი თანამშრომლობს ტრენინგებთან დაკავშირებით. ასევე ვთანამშრომლობთ ინსტიტუტებთან, ქუთაისის უნივერსიტეტთან, აგრო მიმართულების პროფესორებთან, ვიწვევთ აქ, ვახვედრებთ ფერმერებს“; „თუკი რომელიმე ორგანიზაცია რაიმე პროექტს აკეთებს ჩვენს რეგიონში რა თქმა უნდა ჩვენთან მოდიან ჯერ და ჩვენც ვეხმარებით როგორც შეგვიძლია - ეს ჩვენ ინტერესშიც არის გლეხმა მიიღოს მეტი ცოდნა, გრანტი და ა.შ“; „მარშან გვყავდა გერმანელი სპეციალისტი მსხვილფეხა პირუტყვის შესახებ ისაუბრა, ისრაელის წარმომადგენლებთან მოხდა ფერმერების შეხვედრა ბოსტნეულის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. კავშირი გვაქვს სამინისტროს სამეცნიერო ცენტრთან და მათი მონაწილეობით ადგილზე

ვუტარებთ ლექციებს ადგილობრივ მაცხოვრებლებს.“ - განაცხადეს სამსახურის წარმომადგენლებმა.

ცალკე განხილვის საგანია ადგილობრივი სამსახურების თანამშრომლობა თვითმმართველობებთან. როგორც კვლევის შედეგებით გამოვლინდა, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის შემთხვევაში ეს თანამშრომლობა ძალიან ნაყოფიერი და შეიძლება სამაგალითოც კია, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში თანამშრომლობის ხარისხი არასახარბიელოა. წარმატებული კოოპერირების მაგალითია ხონის მუნიციპალიტეტი, სადაც ადგილობრივი მმართველობის მიერ მართალია მცირე ბიუჯეტით, მაგრამ მაინც დაფინანსდა სამსახურის ინიციატივა. „საკონსულტაციო სამსახურები ძალიან მნიშვნელოვანია. ამავდროულად კარგ სამსახურს გვიწევს ინფორმაციის გავრცელებაში. ფერმერებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსების პრინციპით მოხდა მიწის ნიადაგის ანალიზი, 80% გამგეობის დაფინანსებით და 20 % ფერმერის. გაკეთდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ინვენტარიზაცია. ჩვენთან, ერთობლივად ხდება, გამგეობის და სამსახურის თანამშრომლობით, სასოფლო-სამეურნეო საკითხების გადაჭრა. შესაძლოა რომ სხვა მუნიციპალიტეტებში ეს კომუნიკაცია არ არის, საქმე კი დაზარალდება. ამიტომ უნდა იყოს მუნიციპალიტეტის დონეზე დამაკავშირებელი რგოლი ფერმერთა პრობლემების გადასაჭრელად. - აცხადებს ხონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი.

კვლევის ზოგიერთ ლოკაციებზე კი პირიქით, როგორც საკონსულტაციო სამსახურის ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საჭიროა დამატებითი ზომების მიღება თანამშრომლობის დონის გაუმჯობესებისათვის: „გამგეობებსაც აქვთ აგრარული სამსახურები, რომლებსაც იგივე ფუნქციები აქვთ რაც ადგილობრივ სამსახურებს, ამიტომ უნდა იყოს ერთი სამსახური რომელიც შეასრულებს ერთ სამუშაოს ეხლა დუბლირება ხდება ფუნქციების, ამიტომ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამსახურები ერთ რგოლში უნდა იყვნენ.“ „მართალია ვთანამშრომლობთ თვითმმართველობებთან, ვფიქრობ რომ მეტი კომუნიკაცია არის საჭირო, მეტი ჩართულობა, გასულ წელს შევთავაზეთ მათ, რომ გარკვეული წილი ბიუჯეტიდან გამოეყოთ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და ჩვენ თვითონ მოვამზადეთ პროგრამა, საკრებულოზე იქნა განხილული და დაფინანსდა 15000 ლარით, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი იყო, თუნდაც ექსპერტების მოწვევა, ტურების ჩატარება, ხელოვნურ განაყოფიერებასთან დაკავშირებით 2 სპეციალისტის გადამზადება, მიწის ანალიზების ჩატარება კოოპერატივებისათვის, ეს არის მცირე ნაწილი, მაგრამ მე ვფიქრობ რომ უფრო აქტიურად უნდა იყოს ჩართული.“ - განაცხადეს რესპოდენტებმა.

კვლევის ერთ-ერთ ამოცანას ასევე წარმოადგენდა დაგვედგინა, რამდენად ხდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება. თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ არსებული კადრები საკმაოდ კვალიფიციურია და სამინისტროც ხშირად უზრუნველყოფს მათ შესაბამისი კურსებით. თუმცა, ფერმერები მიიჩნევენ, რომ საჭიროა დამატებითი ექსპერტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, რომლებიც სპეციალიზებულნი იქნებიან კონკრეტულ დარგებზე. ძირითად პრობლემად ამ მიმართულებით ყველა რესპოდენტი

ისევ და ისევ არასაკმარის ადამიანური რესურსებს ასახელებს. ამასთან, სამსახურის თანამშრომლები ასევე ხშირად ესწრებიან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სასწავლო ტურებში:

- „სამინისტრო ხშირად გვაგზავნის სემინარებზე ნებისმიერი კულტურის მოვლის შესახებ, მრავალწლიანი კულტურების გასხვლაზე. უცხოელმა სპეციალისტებმა ჩავგიტარეს რიგი ტრენინგები. ამჟამად მიწვეული ვართ ტრენინგებზე და კონფერენციებზე. წლის განმავლობაში დაახლოებით 10 სემინარზე გვიწევს მონაწილეობის მიღება.“
- „ამ დღეებში მიმდინარეობს ორკვირიანი ტრენინგები. გვაქვს ტრენინგები უშუალოდ ჩვენი სამინისტროს მიერ მოწვეულ კონფერენციაზე, თუ რა მიმართულებით უნდა წავიდეს სამსახურების მუშაობა და რა მიდგომები ინერგება ფერმერთა მომსახურებაში. თუმცა არის საკითხები რომელიც მოითხოვს დახვეწას.“
- „კვალიფიკაციის ამაღლების მრავალი შესაძლებლობა გვაქვს. ერთ-ერთი ჩემი თანამშრომელი იმყოფებოდა ჩინეთში. პერიოდულად დავდივართ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ტრენინგებზე, ხვალაც მივდივართ გაეროს ეგიდით შეხვედრაზე თემაზე ექსტენციის განვითარება სოფლის მეურნეობაში.“
- ტრენინგები გვიტარდება ხშირად, კიდევ მეტი იქნება საჭირო ალბათ, იმიტომ რომ ახალი ტექნოლოგიები ძალიან სწრაფად შემოდის; შესაბამისად რაც არ უნდა მცოდნე იყოს ადამიანი თუ სიახლეების კვალდაკვალ არ მოხდა მისი ინფორმირება ახალ ტექნოლოგიებზე სათანადო მომსახურებას ვერ გაწევს.
- ჩვენ გვჭირდება მეტი გადამზადება, მიუხედავად იმისა რომ ჩვენ დავდივართ და 1800-მდე კონსულტაცია გვაქვს გაწეული, ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ ჩვენ თვითონვე თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლება გვჭირდება, ჩართულობა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უნდა იყოს მეტი ადგილზე ჩამოსვლით, ნახვით, სწავლით, მოწინავე გამოცდილების განზოგადებით.

## **ფერმერთა მოთხოვნა საკონსულტაციო და სასწავლო სერვისებზე**

კვლევის ერთ-ერთი ამოცანად განისაზღვრა ფერმერთა საჭიროებებისა და მოთხოვნის იდენტიფიცირება აგრარულ სერვისების ჭრილში. ბუნებრივია, ყველა დასახელებული საკითხი პირდაპირ კავშირში არაა სამსახურის უფლებამოსილებებთან, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს სამსახურის ფუნქციების გაფართოება.

ფერმერთა მიერ დასახელებული საკითხები შემდეგ მიმართულებებად შეიძლება დაიყოს: კონსულტაციები; ტრენინგები; გამოცდილების გაზიარებაზე დაფუძნებული სწავლება;

## **კონსულტაციები**

ფერმერთა მხრიდან მოთხოვნა კონსულტაციებზე ორ ჭრილში შეიძლება განვიხილოთ: 1 - ვიწრო სპეციალიზაციის დარგობრივი ექსპერტებზე ხელმისაწვდომობა; 2 - მეტი შესაძლებლობა მიიღონ კონსულტაცია ადგილზე ფერმასა თუ მიწის ფართობზე.

რაც შეეხება უშუალოდ სფეროებს, თუ რომელ დარგში აქვთ ფერმერებს ყველაზე მაღალი და სისტემატური მოთხოვნა კონსულტაციებზე, ყველაზე ხშირად დასახელებული „ტოპ ათეული“ ასე გამოიყურება:

ცხრილი 2: ყველაზე მოთხოვნადი მიმართულებები კონსულტაციებისათვის

#	დასახელებული მიმართულება
1	მესაქონლეობა (ჯიშები, ვეტერინარია)
2	საგრანტო/სასახო პროგრამებში მონაწილეობა
3	მევენახეობა/მელვინეობა
4	მებოსტნეობა
5	მეფუტკრეობა
6	მეთხილეობა
7	სასათბურე მეურნეობები
8	წვეთოვანი სისტემები
9	კოოპერატივი
10	შხამ-ქიმიკატების გამოყენება და მცენარეთა დაცვა

ფოკუს-ჯგუფის შეხვედრებზე გამოვლინდა, რომ ყველაზე დიდი დეფიციტი კვალიფიციურ ვეტერინარულ რჩევებშია, ასევე ფერმერების ცნობიერება გარკვეულწილად შეცვლილია და მიიჩნევენ რომ ჯიშობრივი გაუმჯობესება აუცილებელია, თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავენ, რომ ეს პროცესი გარკვეულ ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული და ჯერ მზად არ არიან სოფლების დონეზე მასობრივად აღნიშნული პრაქტიკულად განხორციელებისათვის. საგულისხმოა, რომ სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუებშიც, ხშირად დაისვა ვეტერინარული მიმართულების თანამშრომლის დამატების საკითხი.

ამასთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების შესახებ მიმართვიანობა ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა, თუმცა როგორც კვლევამ აჩვენა ფერმერებს სურვილი აქვთ კიდევ მეტი ინფორმაცია მიიღონ და მეტი მხარდაჭერა მონაწილეობის პროცესში. მათთვის ერთ-ერთი მთავარი ბარიერი დოკუმენტებთან მუშაობა და ბიზნეს-გეგმების მომზადების დაბალი უნარებია.

საინტერესოა, რომ კვლევის შედეგად გამოვლინდა ასევე ისეთი თემებზე მოთხოვნა(განსხვავებულია ტერიტორიული ერთეულების მიხედვით), როგორებიცაა: მოცვის მოყვანა; სატბორე მეურნეობა; სალათის თანამედროვე ჯიშები; ღვინის ტურიზმი, ჩაის მოყვანა; ჩირის წარმოება და ა.შ.

ფერმერების აზრით, ვიწრო სპეციალიზაციის კონსულტანტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა აუცილებელია. შესაძლოა ასეთი სპეციალისტები პერიოდულად დადიოდნენ მუნიციპალიტეტებში წინასწარგანსაზღვრული გრაფიკით. „სამწუხაროდ რაც არ უნდა კარგი აგრონომი იყოს რაიონში, სუყველაფრის სპეციალისტი ვერ იქნება, არსებობს ხომ სხვადასხვა დარგები, რომლებსაც სპეციალისტები სჭირდება იმავე დარგის, ეს იქნება

მეცხოველეობა, მებაზრეშუმეობა, მესიმინდეობა და ა.შ. ამიტომ კონკრეტულ საკითხში მცოდნე პიროვნება თუნდაც ერთი თვით რომ ჩამოდიოდეს კარგი იქნება“ - განაცხადა ფერმერმა.

### ტრენინგები

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ფერმერებმა ასევე დაასახელეს თუ რა თემატიკაზე ისურვებდნენ დამატებით ტრენინგ-კურსების გავლას. უმეტეს შემთხვევებში პირებს სურთ იმ მიმართულებით ცოდნის გაღრმავება, რომელ სფეროშიც უკვე ეწევიან საქმიანობას. იყო მცირე ნაწილი, ვინც გამოხატა სურვილი აითვისონ მათთვის ინოვაციური მიმართულებები. ასეთები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ტრენინგი საკმარისი ვერ იქნება და საჭიროა გარკვეული რეკომენდაციების მიწოდება მათ სოფელში რომელ სფეროსა თუ მიმართულებას აქვს განვითარების უკეთესი პერსპექტივა და ასევე რა შეიძლება შედარებით ადვილად გაიყიდოს ბაზარზე.

### ცხრილი 3. ყველაზე მოთხოვნილი მიმართულებები ტრენინგებისათვის

#	დასახელებული თემა
1	მეცხოველეობა
2	მემცენარეობა
3	ბიზნესი და მართვა/გეგმის მომზადება
4	მეფუტკრეობა
5	სასათბურე მეურნეობა
6	ღვინის ტექნოლოგიები
7	თხილის მოვლა
8	კოოპერატივების შექმნა
9	კაკლოვანი კულტურები
10	სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გაყიდვები

ყველაზე აქტუალური ისევ მეცხოველეობაა, აქ ძირითადად ფერმერებს აინტერესებთ დაავადებების პრევენციის ღონისძიებები, პროდუქტიულობის გაზრდის გზები, ინფორმაცია ჯიშებზე.

საგულისხმოა, რომ ფერმერთა ნაწილი მივიდა დასკვნამდე, რომ მათ ჭირდებათ გარკვეული ბიზნეს უნარები, რათა ეფექტიანად დაგეგმონ საკუთარი საქმიანობა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, რომ აღინიშნოს, მათი დამოკიდებულების ცვლილება მეტწილად გამოწვეულია სხვადასხვა სახელმწიფო თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ინიცირებული შესაძლებლობებით, როდესაც მათ დაჭირდათ ბიზნეს-გეგმის, ფინანსური გათვლების მომზადება. ასევე, ბიზნეს ტრენინგების მაღალი მოთხოვნა აქვთ უკვე შექმნილ კოოპერატივებს, რომლებსაც ჭირდებათ შესაბამისი ფინანსური აღრიცხვის წარმოება, გაყიდვების ორგანიზება და ა.შ.

## გამოცდილების გაზიარებაზე დაფუძნებული სწავლება

უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერების მხრიდან დაინტერესება ყველაზე მაღალია გამოცდილების გაზიარებაზე დაფუძნებული სწავლების სხვადასხვა მეთოდების მიმართ. თუმცა, ისიც ნათელია, რომ ეს მიდგომები თავის მხრივ მეტ ფინანსურ დანახარჯებსაც მოითხოვს. „საკუთარი თვალთ ნანახს“ აბსოლუტურად ყველა რესპოდენტი ანიჭებს უპირატესობას და მიიჩნევს, რომ ეს მათთვის ინფორმაციის, კონსულტაციის და სწავლების ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. ამ კუთხით რამდენიმე მიმართულების გამოყოფაა შესაძლებელი:

- 1. სადემონსტრაციო ნაკვეთები, სასწავლო ფერმები.** ფერმერები არ ითხოვენ ყოველ მუნიციპალიტეტში მოეწყოს სადემონსტრაციო ნაკვეთები, თუმცა მათი აზრით რეგიონალურ დონეზე მაინც უნდა არსებობდნენ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში რამდენიმე ფერმერი მაინც არის ნამყოფი სამსახურის ორგანიზებით საცდელ მეურნეობებში ან სხვა წარმატებული ფერმების ნაკვეთებში, რამაც მათზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მნიშვნელოვნად გაუზარდა მოტივაცია. თუმცა, მათივე აზრით კარგი იქნებოდა თუ სამსახური ამ მიმართულებას მეტ დროსა და ძალისხმევას დაუთმობდა. ბუნებრივია, სამსახურები ვერ მოახდენენ სადემონსტრაციო ნაკვეთების შექმნას და მართვას, თუმცა ეფექტიანი იქნებოდა გარკვეული საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო ბაზის შექმნა, თუ სად რომელი სადემონსტრაციო მეურნეობა არის. შესაძლოა მომზადდეს სასწავლო ვიზიტები რეგიონალური მასშტაბით და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში ფერმერების მხრიდან ამ მიმართულებაზე მოთხოვნა ძალიან მაღალია.
- 2. მონაწილეობა/დასწრება აგრარულ გამოფენებში.** როგორც კვლევის შედეგებმა აჩვენეს ფერმერები დაინტერესებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ გამოფენებში, სადაც ერთ შემთხვევაში მათ საშუალება ექნებათ წარადგინონ საკუთარი პროდუქცია, სხვა შემთხვევაში კი გაეცნონ ახალ პროდუქციას, ტექნოლოგიებს, მეთოდებს და ა.შ. ანალოგიურად, ასეთ შემთხვევებს ადგილი ქონდა, და ყველა ის პირი ვინც სამსახურების ორგანიზებით დაესწრნენ გამოფენას, მიიჩნევენ, რომ მათ მიიღეს მნიშვნელოვანი ცოდნა და ინფორმაცია.
- 3. კონსულტაციების მიღება ადგილზე მიწის ნაკვეთსა თუ ფერმაში.** აღნიშნული საკითხი არაერთგზის დასახელდა ფერმერების მიერ, როდესაც ისინი კონკრეტული პრობლემის წინაშე დგანან, მათ აქვთ სურვილი მიიღონ კონკრეტული პასუხი. როდესაც ისინი კონსულტაციას იღებენ სამსახურში, ან ტელეფონის საშუალებით, შესაძლოა ვერც ახსნან სათანადოდ არსებული მდგომარეობა და შესაბამისად ვერ მიიღონ შესაბამისი პასუხი. ხშირად მათ მაგალითად მოყავთ მცენარეთა დაავადებები და თუ ადგილზე არ ნახა სპეციალისტმა, შესაძლოა გადაჭრის სწორი გზა ვერც დასახოს.

4. **ფესტივალების და მსგავსი ღონიძიებების მოწყობა.** ადგილობრივ დონეზე გარკვეული პლატფორმის შექმნა ფერმერებს შორის კომუნიკაციის ხარისხის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარებისათვის ერთ-ერთი ეფექტიანი გზაა. ამგვარი გამოცდილების წარმატებული მაგალითი გაგვიზიარა ერთ-ერთმა სამსახურმა“ ძირითადი მნიშვნელოვანი ფუნქცია სამსახურის არის ექსტენცია კონსულტირება, ფერმერამდე მიტანა თანამედროვე ტექნოლოგიების, ჩვენ შარშან გავაკეთეთ "მინდვრის დღე", ერთერთმა ფერმერმა ერთერთი ჰიბრიდი, რომელიც მას ქონდა დათესილი, მიიღო ჰექტარზე 10 ტონა, ეს საკმაოდ მაღალი არის ხონისთვის, "მინდვრის დღემ" მოგვცა იმის საშუალება რომ ადგილზე გაეგოთ სხვა ფერმერებს თუ როგორ მოუარა ამ ადამიანმა თავის მოსავალს“

## სამსახურის მდგრადობა და განვითარების შესაძლებლობები

### მდგრადობა

როგორც ფერმერები, ასევე ყველა სხვა პროფილის რესპოდენტი უპირობოდ აღნიშნავენ, რომ სამსახურების შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია სოფლის მეურნეობის განვითარების გზაზე. მათი აზრით, გრძელვადიან პერიოდში, როდესაც რეალურად და ფართომასშტაბიანად მოხდება თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვა სამსახურის არსებობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური გახდება. ფერმერთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ მათთვის ადგილობრივი სამსახურები არის ერთადერთი ხიდი და ინფორმაციის მიღების წყარო როგორც სახელმწიფო, ასევე დონორების მიერ ინიცირებული შესაძლებლობების შესახებ.

ყველა მხარე მიიჩნევს, რომ აღნიშნული სამსახურები მუდმივად უნდა არსებობდნენ და ვითარდებოდნენ ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ.

- „ჩვენთან სოფლის მეურნეობა რა დონეზეც არის ყველამ ვიცით - ეს სამსახური ჩვენთვის ყველაფერია. ევროპის ქვეყნები თითქმის მაქსიმალურ დონეზე არის სოფლის მეურნეობის კუთხით. მათთან არის ასეთი სამსახურები და თუკი მივალთ ამ დონეზე მერეც გვჭირდება აუცილებლად - ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება და მათი მომსახურებაც მუდმივად იქნება საჭირო“ (ფერმერი)
- „სოფელი სანამ იარსებებს, მანამდე საჭირო იქნება ამ სამსახურების არსებობა და რაც უფრო განვითარდებით, მით მეტი საჭიროება იქნება “ (კოოპერატივის წარმომადგენელი)
- „ვთვლი, რომ სამსახურის სერვისების აუცილებლობა იზრდება ყოველდღიურად, ჩვენი მოსახლეობის 80% გვყავს ოჯახური მეურნეობებით დაკავებული, მაგრამ როცა დღეს აქტიურად მიმდინარეობს კოოპერირება, გაცილებით მეტი ფერმერი მოისურვებს გაერთიანებას და ასეთ გაერთიანებულ ფერმერულ მეურნეობებში უფრო მეტი იქნება აუცილებლობა ექსტენციის, შესაბამისად აუცილებელი იქნება ამ სამსახურების გაფართოება“ (სამსახურის წარმომადგენელი)
- „ეს ხალხი ინფორმაციას გასცემს და თავის საქმეს აკეთებს დღეს. სოფლის მეურნეობის განვითარებას თუ ვაპირებთ, მუდმივად უნდა იყოს განვითარება და

ყოველ თვეში უნდა ტარდებოდეს შეხვედრა, სადაც განვიხილავთ რა კეთდება და რა უნდა გავაკეთოთ და ამ სამსახურების ფუნქციების კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება“ (ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი)

შესაბამისად, კითხვის ნიშანი არ დგას სამსახურების მნიშვნელობისა თუ არსებობის პერსპექტივების თაობაზე, არამედ მდგრადობის მთავარი გამოწვევა არის მოხდეს სამსახურების სერვისებზე წვდომის გაზრდა, მათ სერვისების გაფართოება და ადაპტირება ადგილობრივ საჭიროებებზე.

### განვითარების შესაძლებლობები და რეკომენდაციები

გრძელვადიან ფერმერული მეურნეობების ფორმირებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების შესაბამისად, ბუნებრივია, უნდა მოხდეს ადგილობრივი სამსახურების განვითარება და ადაპტირება მიმდინარე საჭიროებებზე. ასევე, არსებობს გარკვეული გამოწვევები, რომლებიც ფერმერთა აზრით მიმდინარე ეტაპზევე საჭიროებს რეაგირებას. კვლევის რესპოდენტების მიერ დასახელებულ იქნა სამსახურების განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობები, რომლებიც, მათი აზრით მნიშვნელოვნად გაზრდიდა სამსახურის მუშაობის ეფექტიანობას.

- 1. ადგილობრივ სამსახურებში საშტატო ერთეულების გაზრდა, ვიწრო სპეციალიზაციის კონსულტანტების პერიოდული მივლინება სამსახურებში.** როგორც ფერმერები, ასევე სამსახურის თანამშრომლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია საშტატო ერთეულის გაზრდა, როგორც რაოდენობრივი, ასევე კონკრეტული დარგებში სპეციალიზაციის თვალსაზრისით. ბუნებრივია, ეს პირდაპირ კავშირშია ფინანსურ საკითხებთან, შესაბამისად აღნიშნული საკითხი მოითხოვს დამატებით შეფასებას და რეალისტური საჭიროებების დადგენას. თუმცა, შესაძლებელია რეგიონების მიხედვით მოთხოვნადი ექსპერტები პერიოდულად იქნენ მივლინებულნი ადგილზე. კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ ასეთი პრაქტიკა არსებობს, თუმცა მას არ აქვს სისტემატიური ხასიათი და როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს ექსპერტების ადგილზე ყოფნა შედარებით გრძელვადიანი პერიოდითაა საჭირო და შესაბამის დროს, რათა მან უზრუნველყოს სათანადო პრაქტიკული სწავლება.
- 2. ადგილობრივი სამსახურების თანამშრომლების მინიმალური ტექნიკით აღჭურვა.** აღნიშნული საკითხი ძირითად სამსახურის თანამშრომლების მიერ დაისვა. „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჩვენი საქმიანობა არის კონსულტაციები, რომელიც ხდება როგორც ადგილზე, ასევე სავალე პირობებში, კარგი იქნებოდა ამ მიმართულებით მცირე ტექნიკა რომ გვექონდეს, მაგ. მიკროსკოპი, მიწის ფართობის საზომი და ა.შ.“ - განაცხადა ერთ-ერთმა რესპოდენტმა. თავის მხრივ ფერმერების მხრიდანაც აქტიურად ისმევა



საკითხი, კონსულტაციების სავსე პირობებში მიღების განსაკუთრებული საჭიროების შესახებ. შესაბამისად, ნებისმიერი ის ნაბიჯი, რომელიც გაზრდის ასეთი კონსულტაციების შესაძლებლობებსა და ეფექტიანობას, დადებითად ასახება სამსახურების მიერ შესრულებულ საქმიანობაზე.

3. **ადგილობრივი სამსახურების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ინტენსიობის გაზრდა და მეტი ფოკუსირება ადგილობრივ პრიორიტეტულ დარგებზე.** ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიკაციის ამაღლებას დიდი ყურადღება ექცევა, თუმცა სამსახურის თანამშრომლები ასევე მიუთითებენ, რომ ეს სისტემა გრძელვადიან პერიოდში კიდევ უფრო ინტენსიური და სისტემური უნდა გახდეს, რამდენადაც ტექნოლოგიები მუდმივად იცვლება და საჭირო ყველა ინოვაციის შესახებ ფლობდნენ ინფორმაციას. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მათ მიერ მიღებული ცოდნა იყოს შესაბამისი იმ პრიორიტეტული დარგებისა, რომლებიც მუნიციპალიტეტებშია განვითარებული ან/და განვითარების ძლიერი პერსპექტივა გააჩნიათ. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია ტრენინგები; საინფორმაციო მასალებით აღჭურვა, სასაწავლო ვიზიტები და საერთაშორისო ექსპერტების ვიზიტები უშუალოდ სამსახურებში, როდესაც ისინი ცოდნას და კონსულტაციების მიწოდების მეთოდებს უზიარებენ როგორც თანამშრომლებს, ასევე დაინტერესებულ ფერმერებს.
4. **სადემონსტრაციო ნაკვეთების, სასწავლო ფერმების შექმნის ხელშეწყობა და ფერმერთა ვიზიტების ინტენსიობის გაზრდა.** ფერმერებს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მოთხოვნა აქვთ სადემონსტრაციო ნაკვეთებში საკუთარი თვალთ ნახონ როგორ ხდება მეურნეობის მართვა და საქმიანობა. „ამ სამსახურებმა იციან ვინ რას საქმიანობს ... ერთ-ერთ დიდ საქმეს რასაც გააკეთებს ეს სამსახური იქნება რომ აჩვენოს ფერმერებს სხვა წარმატებული ფერმერების ნაკვეთები და მერე იქედან რომ დაბრუნდება დამერწმუნეთ ერთი ათად გადაიქცევა. ამ სამსახურის ეფექტიანობაც გაცილებით მეტი იქნება ამ შემთხვევაში“; „მე გახლავართ მეფუტკრე-ფერმერი, ადამიანი დანახულით უფრო მეტს იღებს, ვიდრე გაგონილით, ტრენინგები კი გავიარე, ბევრი საინტერესო გავიგე, მაგრამ კარგი იქნება რომელიც არის მოწინავე დარგები, გავაკეთოთ საცდელი მეურნეობები და მოხდეს ხალხის იქ მიყვანა, ეს მხოლოდ იმ ადამიანებისთვის კი არ იქნება კარგი ვინც იქ მივა, არამედ იმისთვისაც ვისთანაც მივლენ.“ „ჩვენ პრობლემები უფრო მეტი გვაქვს სოფლის მეურნეობაში ვიდრე შედეგი. ეს იქნება ყველაზე რეალური, ამათი უფლებამოსილებებიც უფრო გაიზარდოს და ის გლეხი რომ იქნება რომელიც ჩამოვა მეზობელი სოფლიდან და იმ მეურნეობას რომ ნახავს თუ როგორი შედეგიანია ან თუნდაც კოოპერატივს რომ ნახავს რეალურს და არა ფორმალურს, ამას ექნება შედეგი.“ - განაცხადეს რესპოდენტებმა.

სამსახურების ორგანიზებით, თითქმის ყველა გამოკვლეულ მუნიციპალიტეტში რამდენიმე ფერმერი მაინც არის ნამყოფი საცდელ მეურნეობებში ან სხვა წარმატებული ფერმერის ნაკვეთებში, რამაც მათზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მნიშვნელოვნად გაუზარდა მოტივაცია.

სამსახურები ვერ მოახდენენ სადემონსტრაციო ნაკვეთების შექმნასა და მართვას, თუმცა ეფექტიანი იქნებოდა გარკვეული საჯაროდ ხელმისაწვდომი საინფორმაციო ბაზის, ელექტრონული რეესტრის შექმნა. სადაც არა მხოლოდ საჯარო სექტორისათვის, არამედ ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია თუ სად რომელი სადემონსტრაციო მეურნეობა თუ ფერმა ფუნქციონირებს. აღნიშნული ასევე ძალიან დაეხმარება სხვადასხვა არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციას პროექტების ეფექტიანად განხორციელებაში.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სამსახურებში გაიზარდოს სადემონსტრაციო ნაკვეთებთან თანამშრომლობის ხარისხი და მეტი სიხშირითა და სისტემატურად დაიგეგმოს სასწავლო ვიზიტები სადემონსტრაციო ფერმებში.

**5. კოორდინაციის დონის გაზრდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამებს შორის.** სამსახურების თანამშრომლებმა აღნიშნეს, ფერმერები პირველ რიგში მათ მიმართავენ ნებისმიერ აგრარულ საკითხზე და სახელმწიფო პროგრამაზე. შესაბამისად, მართალია მათ აქვთ პერსონალური კომუნიკაცია შესაბამის სამსახურებთან, თუმცა მიიჩნევენ, რომ უფრო შედეგიანი იქნება თუ ამ კოოპერირებას მეტი ფორმალური საფუძველი ექნება და გარკვეულწილად ვალდებულები იქნებიან სხვადასხვა სამსახურები ინფორმაცია და მონაცემები ოპერატიულად გაცვალონ. „სამინისტროს შესაბამისი სამსახურებთან რომ მეტი კოორდინაცია გვქონდეს უკეთესი იქნება, მაგ. შპს მექანიზატორი, სურსათის უვნებლობის სააგენტო, ურთიერთობების ფორმალიზება რომ მოხდეს, იგივე დებულებით.“ „სასურველი იქნებოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული სამსახურები, როგორც არის მელიორაცია, ვეტერინარია და ა.შ. ერთი ქოლგის ქვეშ გაერთიანებულიყვნენ, ერთ საქმეს ვაკეთებთ ჩვენ და ერთმანეთთან მეტი კოორდინირება გვჭირდება. ეს უფრო უკეთესი იქნება გლეხისათვისაც.“ - განაცხადეს რესპოდენტებმა.

**6. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების შემუშავებასა და განხორციელების პროცესში სამსახურების მეტი ჩართულობა.** ადგილობრივი სამსახურის წარმომადგენელთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კარგი იქნებოდა სხვადასხვა პროგრამებში მათი ჩართულობა და როლი თუ გაიზარდებოდა. პროგრამებთან მიმართებაში ძირითადად ინფორმაციის გამავრცელებლის როლს ასრულებენ, თუმცა ხედავს პერსპექტივას იმავდროულად შეასრულონ

საკონსულტაციო ფუნქცია როგორც პროგრამების შემუშავების, ასევე მათი უშუალოდ განხორციელების პროცესში. ასევე ეფექტიანი იქნებოდა პროგრამები შემუშავდეს რეგიონალურ დონეებზეც, სადაც უფრო ადეკვატურად იქნება ასახული ადგილობრივი დარგების საჭიროებები. „ფუნქციონალურად გარკვეულწილად უფრო მეტი ხელმისაწვდომობა რომ იყოს პროგრამებთან, რაღაც სახით რომ რეკომენდაცია მივცეთ ჯგუფებს, რომელთაც ვხედავთ, რომ ჭირდებათ დახმარება, დაბალი არის ხელმისაწვდომობა და ჩართულობა ფერმერების ამ სიტუაციაში, რადგან ისინი დარწმუნებული არ არიან რომ რაიმე სარგებელს მიიღებენ, ჩვენ ვფიქრობთ რომ რაღაც ნაწილში იყოს ჩვენი რეკომენდაციები, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ არსებული სიტუაცია, რეკომენდაცია მივცეთ და შუამავალი ვიყოთ საფინანსო ორგანიზაციასთან, საინფორმაციო-საკონსულტაციო როლი რომ გვქონდეს საფინანსო ორგანიზაციასთან სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში“ - განაცხადა რესპოდენტი.

7. **ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის არსებული პრაქტიკის გადახედვა და გარკვეული სისტემების ჩამოყალიბება.** როგორც კვლევის შედეგებით გამოვლინა არსებობს ადგილობრივ მმართველობასთან წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება, თუმცა ეს ყველა შემთხვევაში ასე არაა. „ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდნენ ფერმერები - ეს ყველასათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა. როგორ ჩამოყალიბდება?! ჩვენი უშუალო დახმარებით, კონსულტაციებით, მასთან ხშირი საუბრებით, მოწინავე გამოცდილების მათთან მიტანით, საჩვენებელი ნაკვეთების მოწყობით, სწავლებით, მათი ტრენინგებით და აი ასე ჩამოყალიბდება და სახელმწიფოს მეტი დახმარებით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიზნობრივი პროექტების განხორციელებით, იგივე გუბერნიამ შეიმუშაოს რაღაც პროექტი, რომლითაც ფერმერს დაეხმარება. - მიიჩნევს ერთ-ერთი რესპოდენტი. უდავოა, რომ მხოლოდ სამსახურების ძალისხმევა საკმარისი ვერ იქნება და ადგილობრივი თვითმმართველობებსაც ძალიან დიდი როლის შესრულება შეუძლიათ ზოგადად სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით. ამ პროცესში აუცილებელია ერთობლივი ძალისხმევის გაწევა საჯარო სექტორის ყველა მხარის მიერ. ბუნებრივია ვერ მოხდება თვითმმართველობებზე ცენტრალური დონიდან დირექტივების გაცემა, რომ მათ აუცილებლად განახორციელონ საკუთარი ბიუჯეტით ერთობლივი პროგრამები. თუმცა, საჭიროა ამ მიმართულებით სამსახურებისა და თვითმმართველი ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაზრდის ხელშეწყობა.
8. **ბიზნეს კონსულტაციების კომპონენტის და მარკეტინგული ფუნქციების ეტაპობრივად დამატება და გაძლიერება.** როგორც ფერმერებს, ასევე სამსახურის თანამშრომლებს მიაჩნიათ, რომ გრძელვადიან პერიოდში აუცილებელი გახდება ფერმერების მეტი ხელშეწყობა გაყიდვების

მხარდაჭერის კუთხით. ხოლო უკვე მიმდინარე ეტაპზე მაღალია მოთხოვნა ბიზნეს კონსულტაციებზე. ფერმერები არ ფლობენ სათანადო უნარებსა და გამოცდილებას თუნდაც სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებისათვის. ასევე უკვე შექმნილი კოოპერატივები დადგენენ ბიზნეს პროცესებთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე - იქნება ეს მეურნეობის დაგეგმვა, ფინანსური აღრიცხვა, გაყიდვები და ა.შ. „მე მაგალითად ხონში რომ მოვდივარ, ნახევარ ფურცელს ვიწერ თუ რა გავყიდო და რა ვიყიდო. ამიტომ უნდა დაემატოს ისეთი ჯგუფი, რომელიც ბიზნეს იდეების შეკრებას და კონცენტრაციას გააკეთებს. ფერმერი რომ მოვა და გლეხი, რომელსაც არ გააჩნია წვდომა წერა-კითხვაზე, პროგრამის გაანგარიშებაზე, საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, კომპიუტერი და ა.შ. სამსახური თუ დაეხმარება ბიზნეს იდეების დარეგისტრირებაში, ბიზნესგეგმის შედგენაში. „ყველაფერი პროგრამულად არის განვითარებული და ეს რომ გავაკეთოთ ელემენტარული უნდა შევისწავლოთ, ნელ-ნელა გლეხები მიეჩვევიან ბიზნეს იდეების დაწერას, ურთიერთშორის კომუნიკაციას, აქედან გამომდინარე უფრო განვითარდება გლეხი და აქტიურობა გაიზრდება. საკონსულტაციო ჯგუფს უნდა დაემატოს ისეთი სპეციალისტები ან თუნდაც მუნიციპალიტეტში მოხდეს მათი დამატება და ეს ადამიანები დაეხმარებიან გლეხებს თუნდაც ბიზნესგეგმის წერაში და სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ პროგრამების შესწავლაში და მონაწილეობაში“ „ვთქვით ჩვენ წარმოება გავზარდეთ და პრობლემა არ არის, მაგრამ მარკეტინგში მაინც ყოველთვის დავჭირდება ჩვენ კოორდინაცია, გაყიდვაში მაინც გვინდა . ეს სამსახურები საქართველოს მასშტაბით ხომცა - იქ ვილასაცთან მყიდველი მივა, ვილაცასთან გამყიდველი და დაგვაკავშირონ ერთმანეთს“ - განაცხადეს ფერმერებმა.

შესაბამისად, სამსახურების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაძლებლობად შეიძლება მოვიაზროთ ფერმერთა ბიზნეს-უნარების გაზრდა და გარკვეული ფერმერებს-შორის კომუნიკაციის პლატფორმის შექმნა - იქნება ეს გამოცდილების გაზიარება თუ აგრარული პროდუქციის გაყიდვებში მხარდაჭერა.

9. **მედია საშუალებების აქტიურად გამოყენება, მათ შორის ადგილობრივი მედიის.** მართალია როგორც სამსახურების ასევე სამინისტროს არ გააჩნია უფლებამოსილება დაავალოს მედია საშუალებს გააშუქოს ესა თუ ის ინიციატივა, მითუმეტეს მოამზადოს საგანანმანათლებლო გადაცემა. თუმცა, კვლევის ფარგლებში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი მედია და სამსახურები აქტიურად თანამშრომლობენ და სისტემატიურად აწვდიან ფერმერებს ინფორმაციას. ამასთან, ფერმერებმაც გამოთქვეს სურვილი საზოგადოებრივ არხზე პერიოდულად გადიოდეს შემეცნებითი გადაცემა მათთვის საინტერესო აგრარულ საკითხებზე. აღნიშნული ინიციატივა ნადვილად სასარგებლო და ეფექტიანი იქნება და იგი ნამდვილად

ყურადღების ღირსია როგორც სახელმწიფო ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. „კარგი იქნება თუ საზოგადოებრივ არხზე კვირაში ერთხელ გავა სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციები ერთ საათით მაინც, ფერმებს თუ გვაჩვენებენ ქართულსაც და ევროპულსაც“; „კვირაში ნახევარ საათიანი გადაცემაც კი კარგი იქნებოდა, მოიწვევდნენ სპეციალისტებს სხვადასხვა დარგისას და გლეხი მიიღებდა ინფორმაციას და გაითვალისწინებდა“ - განაცხადეს რესპოდენტებმა.

10. **საინფორმაციო აგრარული ვებ-პორტალის მომზადება.** ადგილობრივი სამსახურის თანამშრომლები ტიტანურ შრომას ეწევიან და აგროვებენ შეიძლება ითქვას უნიკალურ ინფორმაციასა და მონაცემებს თუ რომელი მუნიციპალიტეტში რა მდგომარეობაა, რა საჭიროებებია და ა.შ. შესაძლოა აღნიშნული ინფორმაცია არ არის სტატისტიკურად გამართული, თუმცა ამ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა თითქმის ყველა სექტორისათვის ძალიან მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა. (1) არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციები უკეთ შეძლებდნენ სხვადასხვა ანალიტიკური ანგარიშების მომზადებას და ასევე მათ მიეცემათ შესაძლებლობა პროექტები მეტად ფოკუსირებული და მიზანმიმართული გახადონ. (2) კერძო სექტორი - კომპანიებსა და ფერმერებს გაუჩნდებათ ადვილად ხელმისაწვდომი საინფორმაციო ბაზა თუ რომელ რეგიონში რა ფერმა არსებობს, რა მოსავალი მოყავთ რას აწარმოებენ და ა.შ. (3) უშუალოდ საჯარო სექტორის სხვადასხვა რგოლები;

## დანართი

დანართი 1. ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო

### ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო

**კვლევის მიზანი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მიერ დებულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესრულების თვისებრივი შეფასება, ფერმერთა მხრიდან აგრო-საკონსულტაციო მომსახურების მოთხოვნის ტენდენციების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

**წინამდებარე ინსტრუმენტის სპეციფიკური მიზანია:** საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების დებულებით განსაზღვრული იმ ფუნქციების შესრულების თვისებრივი შეფასება, რომლებიც მოიცავს კონსულტაციებს, ფერმერთა ინფორმირებას, ტრენინგსა და სწავლებას და თანამედროვე ტექნოლოგიების პოპულარიზაციას, ასევე ფერმერთა მოთხოვნის ტენდენციების გამოვლენა, ფერმერების მიერ შეფასების, პოზიციების, სუბიექტური დამოკიდებულებების, აღქმის და ძირითადი მოლოდინების იდენტიფიკაცია.

**მოდერატორს:** გააცნობიერებთ ჯგუფის წევრებს კვლევის მიზნები და თხოვეთ გაგეცნონ და თან მიუთითონ რა სიხშირით და რა ფორმით ქონიათ შეხება სამსახურებთან.

**მნიშვნელოვანია,** არა მხოლოდ არსებული სერვისების მიწოდების შეფასება, ასევე სასურველი მომსახურებების ჩამონათვალის ფორმირება. შესაბამისად, როდესაც მონაწილეები ისაუბრებენ არსებულ მდგომარეობაზე, ეცადეთ ყოველთვის თან გასცეს რეკომენდაცია რა იქნებოდა უკეთესი, რას ისურვებდა (მხოლოდ კონსულაცია/ინფორმირების ფარგლებში!)

**ამოცანა #1.** სამსახურების მუშაობის/ შეთავაზებული მომსახურების შეფასება. წარმოდგენები რა არის ძირითადი ფუნქციები და დანიშნულება

**მნიშვნელოვანია:** მოგიყვანონ კონკრეტული მაგალითები, აგიხსნან/დაგისაბუთონ საკუთარი პოზიციები; ეცადეთ ამოიღოთ რაც შეიძლება მეტი შეფასებითი დებულებები, ეპითეტები, გამოავლინოთ მათი დამოკიდებულებები და მოლოდინები.

#	კითხვა/საკითხი
1	ზოგადად რა შეხება გქონიათ საკონსულტაციო სამსახურებთან და როგორ შეაფასებდით მათ მუშაობას?

2	რამდენად საჭიროა და რა მნიშვნელობა აქვს ასეთი სამსახურების არსებობას თქვენი სამეურნეო საქმიანობის წარმართვაში?
3	როგორ ფიქრობთ საერთოდ რატომ შეიქმნა ეს სამსახურები და რამდენად კარგად ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციებს?
4	ყველაზე ხშირად რომელი მომსახურების მისაღებად მისულხართ სამსახურში და რამდენად კმაყოფილი ხართ?
5	იქნებ გაიხსენოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც სამსახურში მიღებული კონსულტაციის ანდა მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედეგად რაიმე სიახლე დანერგეთ თქვენ მეურნეობაში ანდა საერთოდ ახალი საქმიანობა დაიწყეთ? (მოდერატორს: ასეთი შემთხვევეი აღწერეთ მაქსიმალურად დეტალურად)
6	თქვენთან მოსულან თუ არა სამსახურის წარმომადგენლები და რა საქმიანობა განუხორციელებიათ? (მოდერატორს: გაყავით 3 ნაწილად: ინფორმაციის ამოღება; კონსულტაციის გაცემა; საკითხის პოპულარიზაცია ), ასევე ეცადეთ კეისების ამოღებას.
7	გთხოვთ ჩამოთვალოთ მუციპალიტეტი არსებული სამსახურის ძლიერი და სუსტი მხარეები? გთხოვთ ახსნათ რატომ მიიჩნევთ ასე?

ჩანიშნები მოდერატორისათვის:

**ამოცანა #2** ფერმერთა მოთხოვნა და საჭიროებები

მოდერატორს: თხოვეთ მონაწილეებს, წარმოიდგინონ, რომ იქმნება ახალი საკონსულტაციო სამსახური და მათ უნდა მიიღონ გადაწყვეტილება რა სერვისებს შეთავაზებენ მოსახლეობას.

#	კითხვა/საკითხი
1	არის თუ არა ისეთი სერვისები, რომლებიც თქვენი აზრით, აუცილებელია რომ ასეთი ტიპის სამსახური გასცემდეს (და არ მოიცავს ამ ეტაპზე). ახსენით რომელი და რატომ.
2	გახსენდებათ თუ არა ისეთი შემთხვევა, როდესაც კონკრეტული (აგრალური) კითხვით მიმართეთ საკონსულტაციო სამსახურს და ვერ მიირთეთ დამაკმაყოფილებელი პასუხი?
3	გთხოვთ ჩამოთვალოთ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებები არის თქვენ სოფელში, რომელზეც გჭირდებათ საკონსულტაციო, საინფორმაციო მომსახურება (მოდერატორს: იქვე მიუთითეთ არის თუ არა შესაძლებელი ამ ეტაპზე მიიღოთ ეს სერვისის არსებულ

	სამსახურებში)
4	გარდა კონსულაციების და ინფორმაციის გაცემისა, თქვენი აზრით რა ფუნქციები შეიძლება შეითავსოს ასეთმა სამსახურებმა, ან რა ინიციატივები შეიძლება განახორციელოს, რომ ადგილი ქონდეს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან მხარდაჭერას?

**ჩანიშვნები მოდერატორისათვის:**

**ამოცანა#3** სამსახურების მდგრადობა , ძირითადი რისკები და გაუმჯობესების ხედვები

**მოდერატორს:** ამ ბლოკში უნდა გამოვლინდეს პირების პირადი, სუბიექტური დამოკიდებულებები და აღქმა. შესაბამისად ნებისმიერი მათი პოზიცია არის საინტერესო. თუმცა აუცილებელია, რომ მოხდეს ამათუ იმ პოზიციის ახსნა რატომ ფიქრობენ ასე: მაგალითად კონკრეტულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ასეთი შეგრძნებები აქვთ მხოლოდ, ან არ აქვთ ნდობა და ა.შ.

#	კითხვა/საკითხი
1	ზოგადად ასეთი მომსახურება უფასო რომ არ იყოს, გადაიხდიდით თუ არა თუნდაც რაიმე მიმინალურ თანხას აგრო-კონსულტაციებში?
2	თვენი აზრით, იმ შემთხვევაში თუ ასეთი სამსახურები არ შეიქმნებოდა რა შეიცვლებოდა თქვენთვის? რა დამატებითი სირთულეებს წააწყდებოდით? გთხოვთ აგვიხსნათ თვენი პოზიცია.
3	თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს ან რა კომპონენტები ანდა სერვისები უნდა ჩაიდოს სამსახურის დებულებაში, რომ იყოს მეტად შედეგიანი და გრძელვადიან პერიოდში მდგრადი. რას დაამატებდით ან თუნდაც გააუქმებდით - პროცედურული ანდა შინაარსობრივი თვალსაზრისით?
4	როგორ მიიჩნევთ, მომავალი 3 წლის განმავლობაში რამდენად საჭირო იქნება სამსახურის არსებობა ? ახსენით რატომ?



<b>5</b>	რა იქნობოდა თქვენი ძირითადი რჩევა საკონსულაციო სამსახურებისათვის?
<b>6</b>	არის თუ არა რაიმე დამატებითი მნიშვნელოვანი საკითხი ანდა მოსაზრება (რომელსაც არ შეეხებოდა) აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რომელიც გასურთ რომ გაგვიზიაროთ?
<b>7</b>	თხოვეთ მონაწილეებს შეავსონ ინდივიდუალური შეფასების ფორმები

**ინდივიდუალური ფორმა**

1. გასული 6 თვის განმავლობაში დაახლოებით რამდენჯერ მიმართეთ ადგილობრივ საკონსულაციო სამსახურებს?

1. 10-ზე მეტი
2. 5-10
3. 1-5
4. არასდროს

2. გთხოვთ ჩამოთვალოდ ადგილობრივი სამსახურების მიერ ორგანიზებულ რომელ ტრენინგებს დასწრებიხართ და შეაფასოთ რამდენად სასარგებლო იყო თქვენთვის

		ნაკლებად სასარგებლო	სასარგებლო	ძალიან სასარგებლო
	1			
	2			
	3			
	4			
	5			

3. გთხოვთ ჩამოთვალოთ რომელი მიმართულებით მიმართავთ ყველაზე ხშირად კონსულტაციისათვის სამსახურს და როგორი იყო მომსახურების ხარისხი?

	საკითხი	მიმართვის სიხშირე			მომსახურების ხარისხი		
		იშვიათად	ხშირად	ძალიან ხშირად	ცუდი	საშუალო	კარგი
	1						
	2						
	3						
	4						
	5						
	6						
	7						

4. გთხოვთ ქვემოთმოცემულ ცხრილში ჩაწეროთ პრიორიტეტების მიხედვით რა თემებზე ისურვებდით კონსულაციების და ტრენინგების მიღებას

კონსულტაციები		ტრენინგები	
1		1	
2		2	
3		3	
4		4	
5		5	
6		6	
7		7	

**5. დამატებითი კომენტარები - რეკომენდაციები**

დანართი 2.

**ჩალმავებული ინტრევიუს სახელმძღვანელო - სამსახურების კვლევა**

**კვლევის მიზანი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მიერ დებულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესრულების თვისებრივი შეფასება, ფერმერთა მხრიდან აგრო-საკონსულტაციო მომსახურების მოთხოვნის ტენდენციების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

**სპეციალური მიზანი:** სამსახურის დებულებით დადგენილი ფუნქციების შესრულების პროცესის, არსებული გამოწვევების და საჭიროებების შეფასება, გაუმჯობესების (ადმინისტრაციული და ფუნქციონალური) რეკომენდაციების შემუშავება.

**ამოცანა 1. დებულებით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულების პროცესი, გამოწვევები, ძლიერი და სუსტი მხარეები**

- ჩვენ თქვენი დებულება დავყავით გარკვეულ ძირითად ფუნქციებად, გთხოვთ მოგვიყვით რომელ ნაწილის შესრულებაზე დაახლოებით რამდენი % სამუშაო დრო მიდის? ამასთან, აქვე შეაფასეთ შერულების პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები და სირთულები: (ინტერვიუერს! თან იქონიეთ დაჯგუფებული დებულება)

ჯგუფი	%	კომენტარი
ინფორმაციის შეგროვება		
ფერმერთა კონსულტირება/ინფორმირება		
ტრენინგები და სწავლება		
პუპულარიზაცია		
თანამშორმლობა		
სხვა		

- გთხოვთ დაასახელოთ და აგვიხსნათ თქვენი სამსახურის ძლიერი მხარეები.
- როგორ მიიჩნევთ ამ ეტაპზე რა არის სუსტი მხარეები?
- თქვენი აზრით არის თუ არა რაიმე ადმინისტრაციული სირთულები, რომელთა მოგვარება გაამარტივებდა სამსახურის მუშაობას და გაზრდიდა მის ეფექტიანობას?

5. ახლა ისევ დებულებას რომ დავუბრუნდეთ, მე ჩამოგივლით იგივე ჯგუფებს და გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი გამოცდილება და პოზიციები კონკრეტულ ჭრილში, კერძოდ კი: (ინეტრვიუერს! იხელმძღვანელებთ დაჯგუფებული დებულებით)
- გთხოვთ გამოყოთ თქვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი, მოთხოვნადი ფუნქციები.
  - რომელი ფუნქცია ხომ არ არის ფორმალური ანდა ფაქტიურად საერთოდ არ არის მოთხოვნა ან საჭიროება; გთხოვთ ახნათ.
  - გთხოვთ, მონიშნოთ 5 ყველაზე მოთხოვნადი ისეთი უფლებამოსილება, რომელიც ფარგლებშიც ყველაზე ხშირად მოგმართავენ ფერმერები.
6. კონკრეტულ ფუნქციებთან დაკავშირებით გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი გამოცდილება
- თ) სამინისტროს პოლიტიკისა და პროგრამების შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირება - როგორ ხდება და რა რესურსებით აღნიშნული ფუნქციის გახორციელება, მაგალითად, აწყოთ შეკრებებს, აგრეგლებს საინფორმაციო მასალებს, და ა.შ.
  - რ) ცხოველთა მოვლა-მოშენების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, მათი დანერგვის მიზნით; და ლ) სასოფლო-სამეურნეო კულტურების განაშენიანება-მოვლის თანამედროვე აგროტექნიკური მეთოდების პოპულარიზაცია და დანერგვის ხელშეწყობა;  
 როგორ ახდენთ პოპულარიზაციას? რამდენად არიან ფერმერები დაინტერესებულები ან როგორ ახდენთ მათ დაინტერესებას? გააჩნიათ თუ არა რაიმე დამხმარე რესურსები ამ უფლებამოსილების შესასრულებლად? არის თუ არა რაიმე ფაქტორები, რაც ხელს შეგიწყობდათ პოპულარიზაციასა და დანერგვაში?
  - ფ) სხვადასხვა ტრენინგების, სწავლებებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;  
 თუ შეიძლება უფრო დეტალურად აგვიხსათ როგორ ხდება აღნიშნული უფლებამოსილების შესრულება? არის თუ არა რაიმე მექანიზმი იმის გამოსავლენად თუ რა ტრენინგები ჭირდებათ ფერმერებს? როგორ ხდება მათი დაგეგმვა?
  - უ) სახელმწიფო და ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ასევე ექსტენციის ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა და შეხვედრებში მონაწილეობა;  
 გთხოვთ მოგვიყვით რომ ექსტენციის ცენტრებთან თანამშრომლობით და რა ფორმით? საერთაშორისო ორგანიზაციებთან უშუალოდ თქვენ თანამშრომლობით თუ ეს მაინც სამინისტროს დონეზე წყდება?

## **ამოცანა 2. ფერმერთა აქტუალური საჭიროებები და მოთხოვნის ტენდენციები**

1. ძირითადად რა კატეგორიის ფერმერები მოგმართავენ?
2. საშუალოდ თვეში რამდენი ფერმერი მოგმართავთ და რა საკითხებზე?
3. თქვენი აზრით რა არის ფერმერების განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი 5 გამოწვევა.
4. ხომ არის არის რაიმე ისეთი საკითხები კონსულტირების, ინფორმირების ან მსგავსი მიმართულებით, რომელიც დღეს არ შედის სამსახურების კომპენტციაში, თუმცა მიგაჩნიათ რომ ფერმერებს ესაჭიროებათ და ეფექტიანი იქნებოდა კომპეტენციების ამ კუთხით გაფართოება? გთხოვთ ახსნათ პასუხი.

## **ამოცანა 3. ადმინისტრაციული და ფუნქციონალური განვითარების შესაძლებლობები**

1. ახლა რომ იქმნებოდეს ეს სამსახურები და შესაბამისად დებულება, რას შეცვლიდით ადმინისტრირების კუთხით?
2. იგივე შემთხვევაში, რა იქნებოდა ფუნქციონალური კუთხით თქვენი რეკომენდაცია?
3. უკვე არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, როგორ ფიქრობთ, მომავალი სამი წლის განმავლობაში რას უნდა მიექცეს მეტი ყურადღება, რა სიახლეები უნდა დაინრეგოს სამსახურის ფუნქციონირების ეფექტიანობის გზრდის მიზნით?
4. არსებობს თუ არა რაიმე სისიტემა ანდა მიდგომა სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციის პერიოდული ამაღლების და ახალი ტექნოლოგიების გაცნობის უზურნველყოფისათვის?

## **ამოცანა 4. რისკები და მდგრადობა**

1. რა ძირითად რისკებს ხედავთ სამსახურის ეფექტიანი ფუნქციონირების თვალსაზრისით?
2. როგორ ფიქრობთ მდგარდი და მოთხოვნადი იქნება სამსახური გრემელვადიან პერიოდში? რა პირობები უნდა არსებობდეს ამისთვის?
3. რა იქნებოდა თქუნი ძირითადი რჩევა?
4. ხომ არ დაამატებდით რაიმეს.

## **ჩარმავებულიუ ინეტრევიუს სახელმძღვანელო - ფერმერები და კოოპერატივები**

**კვლევის მიზანი:** საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მიერ დებულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესრულების თვისებრივი შეფასება, ფერმერთა მხრიდან აგრო-საკონსულტაციო მომსახურების მოთხოვნის ტენდენციების გამოვენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

**სპეციალური მიზანი:** სამსახურის დებულებით დადგენილი ფუნქციების შესრულების პროცესის შეფასება, განვითარების შესაძლებლობების გამოვლენა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება.

**ამოცანა #1.** სამსახურების მუშაობის/ შეთავაზებული მომსახურების შეფასება.

**წარმოდგენები რა არის ძირითადი ფუნქციები და დანიშნულება**

1. ზოგადად რა შეხება გქონიათ საკონსულტაციო სამსახურებთან და როგორ შეაფასებდით მათ მუშაობას?
2. რამდენად საჭიროა და რა მნიშვნელობა აქვს ასეთი სამსახურების არსებობას თქვენი სამეურნეო საქმიანობის წარმართვაში?
3. როგორ ფიქრობთ საერთოდ რატომ შეიქმნა ეს სამსახურები და რამდენად კარგად ასრულებენ დაკისრებულ ფუნქციებს?
4. ყველაზე ხშირად რომელი მომსახურების მისაღებად მისულხართ სამსახურში და რამდენად კმაყოფილი ხართ?
5. იქნებ გაიხსენოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც სამსახურში მიღებული კონსულტაციის ანდა მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის შედეგად რაიმდე სიხლე დანარგეთ თქვენ მეურნეობაში ანდა საერთოდ ახალი საქმიანობა დაიწყეთ?
6. თქვენთან მოსულან თუ არა სამსახურის წარმომადგენლები და რა საქმიანობა განუხორციელებიათ? (ინეტრვიუერს: დადებითი პასუხის შემთხვევაში გამოყავით 3 მიმართულება: ინფორმაციის ამოღება; კონსულტაციის გაცემა; საკითხის პოპულარიზაცია )
7. გთხოვთ ჩამოთვალოთ მუციპალიტეტი არსებული სამსახურის ძლიერი და სუსტი მხარეები? გთხოვთ ახსნათ რატომ მიიჩნევთ ასე?

**ამოცანა #2** ფერმერთა მოთხოვნა და საჭიროებები

1. არის თუ არა ისეთი სერვისები, რომლებიც თქვენი აზრით, აუცილებელია რომ ასეთი ტიპის სამსახური გასცემდეს (და არ მოიცავს ამ ეტაპზე). ახსენით რომელი და რატომ.
2. გთხოვთ ჩამოთვალოთ სოფელში არსებული სასოფლო-სამეურნეო საჭიროებები, რომელზეც გჭიდავთ საკონსულტაციო, საინფორმაციო მომსახურება (ინეტრვიუერს: იქვე მიუთითეთ არის თუ არა შესაძლებელი ამ ეტაპზე მიიღოთ ეს სერვისის არსებულ სამსახურებში)
3. გახსენდებათ თუ არა ისეთი შემთხვევა, როდესაც კონკრეტული (აგრალოური) კითხვით მიმართეთ საკონსულტაციო სამსახურს და ვერ მიიღეთ დამაკმაყოფილებელი პასუხი?
4. გარდა კონსულტაციების და ინფორმაციის გაცემისა, თქვენი აზრით რა ფუნქციები შეიძლება შეითავსოს ასეთმა სამსახურებმა, ან რა ინიციატივები შეიძლება განახორციელოს, რომ ადგილი ქონდეს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან მხარდაჭერას?

**ამოცანა#3 სამსახურების მდგრადობა , ძირითადი რისკები და გაუმჯობესების ხედვები**

1. ზოგადად ასეთი მომსახურება უფასო რომ არ იყოს, გადაიხდით თუ არა თუნდაც რაიმე მიმინალურ თანხას აგრო-კონსულტაციებში?
2. თვენი აზრით, იმ შემთხვევაში თუ ასეთი სამსახურები არ შეიქმნებოდა რა შეიცვლებოდა თქვენთვის? რა დამატებითი სირთულეებს წააწყდებოდით? გთხოვთ აგვიხსნათ თვენი პოზიცია.
3. თქვენი აზრით რა უნდა გაკეთდეს ან რა კომპონენტები ანდა სერვისები უნდა ჩაიდოს სამსახურის დებულებაში, რომ იყოს მეტად შედეგიანი და გრძელვადიან პერიოდში მდგრადი. რას დამატებდით ან თუნდაც გააუქმებდით - პროცედურული ანდა შინაარსობრივი თვალსაზრისით?
4. როგორ მიიჩნევთ, მომავალი 3 წლის განმავლობაში რამდენად საჭირო იქნება სამსახურის არსებობა ? ახსენით რატომ
5. რა იქნებოდა თქვენი ძირითადი რჩევა საკონსულტაციო სამსახურებისათვის?
6. არის თუ არა რაიმე დამატებითი მნიშვნელოვანი საკითხი ანდა მოსაზრება (რომელსაც არ შევეხეთ) აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რომელიც გსურთ რომ გაგვიზიაროთ?
7. გთხოვთ შევსოთ მოცემული ფორმა.